ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა

31 მაისი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 19:50სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა. როინ მიგრიაული

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების განხილვა და გაწევრიანება;

2. გაწევრიანების ორგანიზების წესის გამარტივებული პროცედურის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას" გაწევრიანების შესახებ განცხადებით მომართა 37 პირმა. აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული განცხადებები და დადასტურდა, რომ ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრის, დავით ასათიანის ინიციატივით, ვინაიდან, 2006 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ნორმა, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილება უწყდება ყველა პირს, რომელიც არ არის გაწევრიანებული ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში", განისაზღვროს ასოციაციაში გაწევრიანების გამარტივებული პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ასოციაციის აპარატის მიერ ადვოკატის ფიცის დადების ორგანიზებას;

ბ) გაწევრიანებული პირის ნასამართლობის ცნობის გამოთხოვას, ან გაწევრიანებული პირის მიერ ნასამართლობის ცნობის მოგვიანებით წარდგენას.

ასეთის წარუდგენლობა ან ისეთი ნასამართლობის ცნობის წარდგენა, რომელიც მოწმობს გაწევრიანებული პირის ნასამართლობას განზრახი მძიმე დანაშაულისათვის, გამოიწვევს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

გ ა დ წ ყ დ ა:

1. გაწევრიანების მსურველთა ყველა განცხადება დაკმაყოფილდა.

2. ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" გასაწევრიანებელ პირთა გამარტივებული წესით გაწევრიანება და შემდგომში, სხდომაზე მათი უფლებამოსილების ცნობა.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდენენ:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა. როინ მიგრიაული.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე